კონკურსი სამოქალაქო (საპროექტო/სარემონტო) სამუშაოების შესყიდვაზე

FSM-2024-10-27

სოლიდარობის ფონდი PL საქართველოში ეძებს კომპანიას, რომელიც გაგვიწევს ხარისხიანი საპროექტო, სადემონტაჟო და სარემონტო (შემდგომში "სამოქალაქო სამუშაოები") მომსახურებას ამბროლაურის მუნიციპალიტეტის, სოფელ ჭრებალოში.

სოფლის გაძლიერება ციფრული ჩართულობის გზით (REDI) არის ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი, რომელსაც ,,სოლიდარობის ფონდი პლ საქართველოში" (SFPL in GEO) 2023 წლის 1-ლი დეკემბრიდან ახორციელებს ესტონელ პარტნიორთან -,,e-Governance Academy"-თან " (eGA) ერთად. REDI მიზნად ისახავს საქართველოს სოფლებსა და ქალაქებს შორის ციფრული უთანასწორობის შემცირებას კავშირგაბმულობის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და ციფრული წიგნიერების განვითარების გზით. პროექტის ფარგლებში, საქართველოს 200-მდე სოფელში საჯარო სივრცეებში განთავსდება ინტერნეტთან წვდომის წერტილები და შეიქმნება ციფრული სასოფლო ჰაბები.

პროექტის გუნდმა მიიღო გადაწყვეტილება, საპილოტე ციფრული სასოფლო ჰაბი ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მდებარე, სოფელ ჭრებალოში მოაწყოს. საპილოტე ციფრული სასოფლო ჰაბის განთავსებისთვის შერჩეულია სოფლის კლუბის შენობა, კერძოდ, მის შიგნით არსებული ერთი ოთახი და სველი წერტილი, რომელიც საჭიროებს გადაუდებელი სამოქალაქო (სარემონტო) სამუშაოების ჩატარებას. ამ მიმართულებით, REDI-ის გუნდი ეძებს გამოცდილ სარემონტო სერვისების პროვაიდერს.

მოთხოვნილი სერვისი: ხარისხიანი **სამოქალაქო (საპროექტო, სადემონტაჟო და სარეაბილიტაციო) სამუშაოების** უზრუნველყოფა ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მდებარე, სოფელ ჭრებალოში განთავსებული სოფლის კლუბის შენობის ერთ ოთახსა და სველ წერტილში.

1. **დავალების შესრულების ადგილ(ებ)ი**

სოფელი ჭრებალო, ამბროლაურის მუნიციპალიტეტი.

2. **დავალების ხანგრძლივობა**

მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების პირობების დაცვით, ვალდებულებების შესრულების ნაწილში, მოთხოვნილი სამუშაოების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

3. **ობიექტისა და შესასრულებელი სამუშაოს აღწერა**

სარეაბილიტაციო ობიექტი მდებარეობს რაჭის რეგიონში, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭრებალოში, კერძოდ, მიწის ნაკვეთზე - ს/კ 86.07.22.007.031 მდგარ შენობაში -„სოფლის კლუბი"**.**

შენობა ორ სართულიანია, მთლიანობაში მდგრადია და აკმაყოფილებს საექსპლუატაციო პირობებს. იგი აშენებულია გასული საუკუნის 60-იან წლებში.

სარეაბილიტაციო ოთახი შენობის მეორე სართულზე, ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს და 27 კვ.მ ფართისაა. იგი სრულად სარემონტო მდგომარეობაშია.

თანდართული საპროექტო დოკუმენტაცია დეტალურად აღწერს, როგორც შენობას, ისე სარეაბილიტაციო სივრცეს და მოთხოვნილი სამუშაოების დეტალურ ჩამონათვალს (იხ.

დანართი 1. საპროექტო დოკუმენტაცია_Annex 1. Project Documentation). ამას გარდა, საპროექტო დოკუმენტაციაში მოცემულია სარეკომენდაციო მასალები, რომელთა გამოყენებითაც უმჯობესია სამუშაოს შესრულება. აპლიკანტებს ექნებათ შესაძლებლობა, შემოგვთავაზონ ალტერნატიული მასალები, იმ პირობით, რომ დაცული იქნება მაღალი სტანდარტითა და მდგრადი პრინციპებით სამუშაოს შესრულების ვალდებულება.

4. გასაწევ მომსახურებასთან დაკავშირებული მინიმალური მოთხოვნები

4.1 დამკვეთის მიერ წარმოდგენილი, თანდართული საპროექტო დოკუმენტაციით განსაზღვრული, ყველა სამუშაოს შესრულების უზრუნველყოფის ტექნიკური და პროფესიული შესაძლებლობა.

4.2 სამოქალაქო (საპროექტო/სარემონტო) სამუშაოების სფეროში ფუნქციონირების, მინიმუმ, 3 წლიანი გამოცდილება (დადასტურებული პორტფოლიოს ან გამოცდილების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტაციის წარმოდგენით).

4.3 კონკურსით მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულფასოვნად წარმოდგენა.

ის შეთავაზებები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ მოცემულ თავში ჩამოთვლილ მინიმალურ მოთხოვნებს, გამოეთიშებიან კონკურსს.

5. შეფასების კრიტერიუმი ყველაზე საუკეთესო წინადადების შესარჩევად (მაქს. 120 ქულა)

5.1 სამოქალაქო (საპროექტო/სარემონტო) სამუშაოების სფეროში ფუნქციონირების გამოცდილება **(მაქს. 10 ქულა)**

- 5 წელზე ზემოთ - 10 ქულა;
- 3-დან 5 წლამდე - 5 ქულა;
- 3 წელი - 2 ქულა.

5.2 მომსახურების ღირებულება **(მაქს. 20 ქულა)**

„მომსახურების ღირებულების“ კრიტერიუმით შეფასება დაეფუძნება შემდეგ ფორმულას:

P= Pmin/Pof x 20 ქულა

სადაც:

Pmin - ყველაზე დაბალი შემოთავაზებული ფასი

Pof – ფასი წარმოდგენილია შემოწმებულ შეთავაზებაში

P – ფასის კრიტერიუმით შემოწმებულ შეთავაზებაზე მინიჭებული ქულების რაოდენობა, დამრგვალებული სრულ რიცხვამდე.

ფასები წარმოდგენილი უნდა იყოს ლარში, დღგ-ს გარეშე და მოიცავდეს სამუშაოს შესასრულებლად საჭირო ყველა და ნებისმიერ ხარჯს (მათ შორის, საპროექტო , სადემონტაჟო ,

სარეაბილიტაციო, გამოსაყენებელი სამშენებლო მასალებისა და აღჭურვილობის, ტრანსპორტირებისა და სხვა ხარჯებს).

5.3 მომსახურების გაწევის ვადა **(მაქს. 30 ქულა)**

(შეფასდება საპროექტო დოკუმენტაციით განსაზღვრული სამუშაოების სრულად და ხარისხიანად განხორციელებისთვის შემოთავაზებული ადეკვატური და მინიმალური დროის მიხედვით).

5.4 სამუშაოს განხორციელებისას გამოსაყენებელი სამშენებლო მასალებისა და აღჭურვილობის ხარისხი **(მაქს. 20 ქულა)**

(შეფასდება გამოსაყენებელი სამშენებლო მასალებისა და აღჭურვილობის ნუსხის, თანდართული საპროექტო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებთან და რეკომენდაციებთან შესაბამისობის მიხედვით).

5.5 საგარანტიო პირობები **(მაქს. 20 ქულა)**

(შეფასდება შესრულებული სამუშაოს საგარანტიო პირობების დეტალური აღწერის მიხედვით, რომელიც მოიცავს ინფორმაციას სამუშაოების დასრულების შემდეგ გამოვლენილ ტექნიკურ ხარვეზებზე რეაგირების სერვისებისა და პრობლემის აღმოფხვრის ვადების შესახებ.)

5.6 გასაუბრება **(მაქს. 20 ქულა)**

*გასაუბრების პროცესში მოწვეულნი იქნებიან მხოლოდ შერჩეული აპლიკანტები.

6. ხელშემკვრელ ორგანოსა და კონტრაქტორს შორის ანგარიშსწორება განხორციელდება ლარში, გამარჯვებულ აპლიკანტთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

7. მოთხოვნილი დოკუმენტაცია

7.1 ფისკალური განაცხადი შევსებული ქართულ და ინგლისურ ენებზე (იხ. დანართი 2. ფისკალური განაცხადის ფორმა_Annex 2. Fiscal Statement Form) ხელმოწერილი და დასკანერებული PDF ფორმატში.

7.2 აპლიკაციის ფორმა შევსებული ქართულ ან ინგლისურ ენაზე (იხ. დანართი 3. აპლიკაციის ფორმა_Annex 3. Application Form) ხელმოწერილი და დასკანერებული PDF ფორმატში.

7.3 ხარჯთაღრიცხვა Microsoft Excel ფორმატში (იხ. დანართი 4. ხარჯაღრიცხვის შაბლონი_Annex 4. Cost Accounting Template).

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვა უნდა მოიცავდეს:
1. თანდართული საპროექტო დოკუმენტაციით განსაზღვრული სამუშაოების შესრულების ვადებს;
2. გამოსაყენებელი სამშენებლო მასალისა და აღჭურვილობის ჩამონათვალსა და მათი ხარისხის განმსაზღვრელ ინფორმაციას (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
3. სერვისის დეტალურ განფასებას, რომელიც მოიცავს მოთხოვნილ სამუშაოსთან დაკავშირებული ყველა ხარჯს, მათ შორის საპროექტო, სადემონტაჟო და სარეაბილიტაციო

სამუშაოების, მათ განსახორციელებლად საჭირო სამშენებლო მასალებისა და აღჭურვილობის, ტრანსპორტირების და ა.შ. ხარჯებს.

8. განაცხადის შეტანა

განაცხადი ტენდერში მონაწილეობაზე წარმოდგენილი უნდა იქნას მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულყოფილად გამოგზავნის გზით, არაუგვიანეს 2024 წლის 16 დეკემბრისა, თბილისის დროით 24:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: redi@solidarityfund.pl

კითხვები ტენდერთან დაკავშირებით შეგიძლიათ მოგვწეროთ მისამართზე redi@solidarityfund.pl საბოლოო ვადის გასვლამდე.

9. ხელშემკვრელი ორგანო არ მიიღებს ტენდერის წარდგენის ვადის გასვლის შემდეგ წარმოდგენილ სატენდერო დოკუმენტაციას/კითხვას.

10. პროცედურის შედეგის შესახებ ინფორმაცია გაიგზავნება განმცხადებლის მიერ მითითებულ ელ. ფოსტაზე და გამოქვეყნდება Solidarity Fund PL_GEO Facebook გვერდსა https://www.facebook.com/solidarityfund.ge და https://participatoryhub.ge/ -ზე.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ განაცხადის შეტანით თქვენ თანახმა ხართ გაუზიაროთ განაცხადის შინაარსი სხვა განმცხადებლებს, (გარდა პერსონალური მონაცემებისა, რომლებიც ანონიმური იქნება) რომლებსაც შეუძლიათ შესაბამისი მოთხოვნის გაგზავნა SFPL -ში.

11. შერჩეულ კონტრაქტორთან/კონტრაქტორებთან გაფორმდება ხელშეკრულება.

12. კონტრაქტორ(ებ)ს, რომლის ტენდერიც ჩაითვლება ყველაზე უპირატესად, იქნება ინფორმირებული ხელშემკვრელ ორგანოს მიერ ხელშეკრულების გაფორმების ადგილისა და თარიღის შესახებ.

13. ხელშეკრულების გაფორმებამდე კონტრაქტორი ვალდებულია უზრუნველყოს ყველა საჭირო ინფორმაცია ხელშეკრულების შინაარსის შესავსებად, ხელშემკვრელ ორგანოს მოთხოვნით.

14. თუ ეკონომიკური ოპერატორ(ებ)ი, რომლის სატენდერო წინადადება ჩაითვალა ყველაზე უპირატესად, თავს აარიდებს ხელშეკრულების დადებას, ხელშემკვრელ ორგანოს შეუძლია ხელახლა განიხილოს და შეაფასოს ტენდერის შედეგი დარჩენილი ეკონომიკური ოპერატორების შემოთავაზებებიდან ან გააუქმოს პროცედურა.

15. ეკონომიკური ოპერატორის წარმომადგენლმა პირებმა ხელშეკრულების გაფორმებისას უნდა წარმოადგინონ ეკონომიკური ოპერატორის წარმომადგენლობის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტები, თუ ასეთი ავტორიზაცია არ დასტურდება ტენდერის თანდართული დოკუმენტებიდან.

16. სოლიდარობის ფონდი პლ უზრუნველყოფს თანაბარ შესაძლებლობებს, სამართლიან და კანონიერ მოპყრობას დასაქმების პროცესში რასის, ფერის, რელიგიის, სქესის, ეროვნული წარმომავლობის, ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობების, პოლიტიკური კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, დაცული გენეტიკური ინფორმაციის ან სექსუალური ორიენტაციის მიუხედავად.

17. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ წარდგენილ განაცხადებში მოცემული პერსონალური მონაცემების ადმინისტრატორია სოლიდარობის ფონდი PL, რომლის სათაო ოფისი მდებარეობს ვარშავაში, ქუჩა Mysłowicka 4, 01-612 ვარშავა. მონაცემები დამუშავდება მე-6 მუხლის 1 გ პუნქტის საფუძველზე პერსონალური მონაცემების დაცვის პოლონეთის კანონის შესახებ სახელმწიფო შესყიდვების პროცედურასთან დაკავშირებული მიზნებისათვის. თქვენ გაქვთ მოწოდებულ პერსონალურ მონაცემებზე წვდომის უფლება, პერსონალური მონაცემების გასწორების უფლება და უფლება მოსთხოვოთ ადმინისტრატორს პერსონალური მონაცემების დამუშავების შეზღუდვა, რომელიც ექვემდებარება კანონის 18 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებს. თქვენ გაქვთ უფლება, საჩივრით მიმართოთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფისის პრეზიდენტს. მონაცემთა მაკონტროლებელი არის სოლიდარობის ფონდი PL საქართველოში, ჭავჭავაძის გამზირი 20, ბინა #3, სართული 2, 0179 თბილისი, საქართველო. თქვენი უფლებებით სარგებლობისათვის, გთხოვთ, დაუკავშირდეთ SFPL-ს საქართველოში პირდაპირ მისამართზე georgiarep@solidarityfund.pl – ჩვენ მზად ვართ დავიცვათ თქვენი უფლებები ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში.